

პრიორიტეტებით საქართველოში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „PARLIAMENT Aqua Blue“, რეგისტრაციის ნომრით 20506 (2010 წ.) და ასევე საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისა 1120399 – “AQUA BURST” (2012 წ.). აღნიშნული სასაქონლო ნიშნები უფრო ადრეული პრიორიტეტით სარგებლობენ, ვიდრე სადავო ნიშანი. ორივე სასაქონლო ნიშანი დაცულია საქართველოში 34-ე კლასის საქონლისათვის. აპელანტის პოზიციით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი “KENT AQUA” მსგავსია მისი კუთვნილი საქართველოში უფრო ადრეული პრიორიტეტით 34-ე კლასის მსგავსი საქონლისათვის დაცული სასაქონლო ნიშნებისა „PARLIAMENT Aqua Blue” და „AQUA BURST”. აპელანტის მითითებით, მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშანი რეგისტრაციის ნომრით №1120399 „AQUA BURST” ჩაწერილია სტანდარტული ლათინური შრიფტით ისევე, როგორც სადავო სასაქონლო ნიშანი „KENT AQUA”. ორივე სასაქონლო ნიშანი შეიცავს იდენტურ სიტყვას „AQUA”, რაც ხაზს უსვამს ნიშნების მსგავსებას და შესაძლებელს ხდის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას ასოცირების შედეგად. სადავო სასაქონლო ნიშანი ასევე, მსგავსია აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა „PARLIAMENT Aqua”, აპელანტის კუთვნილი რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების ნაწილი „AQUA” უცვლელადაა გადატანილი სადავო სასაქონლო ნიშანში, რაც არღვევს აპელანტის განსაკუთრებულ უფლებას სასაქონლო ნიშანზე. აპელანტის განმარტებით, რადგან სიტყვა „AQUA” აზრობრივად არ არის დაკავშირებული განცხადებულ საქონელთან 34-ე კლასში, ის ფანტაზიურია სიგარეტებისათვის. აპელანტის მითითებით, მან პირველმა გამოიყენა სიტყვა „AQUA” სიგარეტებისათვის და აღნიშნული სიტყვიერი აღნიშვნით შეიტანა განაცხადი “საქპატენტში” 2009 წელს, 4 წლით ადრე ვიდრე შეტანილი იქნებოდა განაცხადი სადავო სასაქონლო ნიშანზე, შესაბამისად მომხმარებელი სიტყვას “AQUA” დატანილს სიგარეტის კოლოფზე უკავშირებს სიგარეტ “PARLIAMENT”-ს. აპელანტის მითითებით, სიგარეტ კენტზე სიტყვა “AQUA”-ს გამოყენება აფიქრებინებს მომხმარებელს, რომ ის აპელანტი კომპანიის მიერ წარმოებულ სიგარეტს ყიდულობს. აპელანტის აზრით, სააპელაციო პალატამ არ უნდა დაუშვას რეგისტრაცია ისეთი სასაქონლო ნიშნისა, რომელიც ჰგავს ადრე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს, რადგან ასეთი რეგისტრაციის შედეგად

შეცდომაში იქნება შეყვანილი პოტენციური მომხმარებელი მწარმოებლის მიმართ საქონლის ერთგვაროვნების გამო. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე აპელანტი ითხოვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 31 იანვრის №133/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც კომპანია „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო (ბრენდს) ინკ“-ის (British American Tobacco (Brands) Inc.) სახელზე დარეგისტრირდა საქართველოში სასაქონლო ნიშანი „KENT AQUA“ (საიდ. №72223/03) 34-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვლისათვის.

მოწინააღმდეგე მხარე კომპანია „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო (ბრენდს) ინკ“ არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარს შემდეგი გარემოებების გამო:

მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა გამორიცხულია, ვინაიდან ნიშნის პირველი სიტყვა “KENT“-ი ცალსახად მიანიშნებს მომხმარებელს, თუ რომელ კომპანიას მიეკუთვნება აღნიშნული პროდუქცია. სიგარეტი, მარკირებული სასაქონლო ნიშნით „KENT“, კარგად არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის, ვინაიდან აღნიშნული სიგარეტი იყიდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან. გარდა ამისა, ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დღეისათვის საქართველოში სხვადასხვა კომპანიის სახელზე რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშნები, რომელთა შემადგენლობაში, ამა თუ იმ სახით, შედის აღნიშვნა „AQUA“. ესენი არიან: “AQUARELLE” - მოწ. №13814 (რეგ. თარიღი: 03.02.2001) მფლობელი შპს „სტანდარტ ტობაკო ინკორპორეტიდ“, სასაქონლო ნიშანი „AQUA“ მოწ. №21401 (რეგ. თარიღი: 04.27.2011) მფლობელი „Harrington Development Inc.“. მათმა რეგისტრაციამ, ამ წლების განმავლობაში, არ გამოიწვია ნეგატიური შედეგები. მოწინააღმდეგე მხარის პოზიციით, სასაქონლო ნიშნის „KENT AQUA“ რეგისტრაცია და მისი მომდევნო გამოყენება საქართველოში არ გამოიწვევს ნიშნების ერთმანეთში აღრევას და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას მწარმოებლის მიმართ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგე მხარე თვლის, რომ ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს და ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების

დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 31 იანვრის №133/03 ბრძანების ძალაში დატოვებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კოლეგიამ განიხილა მხარეთა არგუმენტაცია, შესაგებელი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას სადავო და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მსგავსებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ სადავო, კომპანია „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო (ბრენდს) ინკ“-ის სახელზე დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „KENT AQUA“ (საიდ. №72223/03) და კომპანია „ფილიპ მორის ბრენდს სარლ“-ის კუთვნილი სასაქონლო ნიშნები „PARLIAMENT Aqua Blue“ (რეგ. №20506); „AQUA BURST“ (IR 1120399) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. სადავო და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს როგორც ვიზუალური ისე ფონეტიკური და სემანტიკური განსხვავება. სადავო და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება ვიზუალურად, რადგან სადავო სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს, რომელიც შედგება ორი სიტყვისაგან „KENT AQUA“, აღნიშნული სიტყვები შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებისაგან. იქიდან გამომდინარე, მოცემულ ნიშანში პირველ სიტყვას წარმოადგენს „KENT“, სწორედ მასზე მოდის განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა. რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს, „PARLIAMENT Aqua Blue“ (რეგ. №20506) წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს, რომელიც სიტყვიერ ნაწილთან ერთად შეიცავს ასევე გამოსახულებით ელემენტებს, აღნიშნული დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შედგება სამი სიტყვისაგან, რომელთაგან მხოლოდ „PARLIAMENT“ არის სტანდარტული

ლათინური ასომთავრული ასოებით შესრულებული. დანარჩენი ორი სიტყვის მხოლოდ პირველი ასოები არის ასომთავრულად შესრულებული. აღნიშნულ სასაქონლო ნიშანში განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა მოდის სიტყვაზე „PARLIAMENT“. რაც შეეხება, მეორე დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს „AQUA BURST“, აღნიშნული სასაქონლო ნიშანი ასევე განსხვავდება სადავო სასაქონლო ნიშნისაგან, ვინაიდან იგი შეიცავს დამატებით სიტყვას „BURST“ რაც სძენს ნიშნებს იმ დონის ვიზუალურ განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. სადავო და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად, რადგან სადავო სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „კენტ აქუა“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები, როგორც „პარლამენტ აქუა ბლუ“ და „აქუა ბარსო“. სადავო და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია სემანტიკურად, რადგან სადავო სასაქონლო ნიშანში ძირითადი სიტყვაა „კენტ“, რომელიც წარმოადგენს ქალაქს სამხრეთ ინგლისში, ხოლო სიტყვა „აქუა“ ნიშნავს წყალს, რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს „PARLIAMENT Aqua Blue“, იგი ქართულად ითარგმნება, როგორც „ფირუზისფერი პარლამენტი“, ვინაიდან სიტყვიერი აღნიშვნა „Aqua Blue“ წარმოადგენს ფერს, კერძოდ მომწვანო-მოლურჯო ფერს. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის გამოსახულებაც აღნიშნულ ფერებშია შესრულებული. რაც შეეხება, „AQUA BURST“, იგი ნიშნავს „წყლის ამოფრქვევას“. აღნიშნული კიდევ უფრო მეტად ამცირებს სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება თამბაქოს ნაწარმს, სიგარეტებს, რომელთა მომხმარებელი გამოირჩევა სიგარეტების მაღალი ბრენდის ერთგულებით, კერძოდ სიგარეტის მომხმარებლები (მწვევლები) მიჩნეულნი არიან ისეთ მომხმარებლებად, რომლებიც განსაკუთრებულად ყურადღებიანები და დაკვირვებულები არიან იმ სიგარეტის ბრენდის არჩევისას, რომელსაც ისინი ეწევიან, შესაბამისად სასაქონლო ნიშნები, რომლის ქვეშაც იწარმოება სიგარეტები უნდა იყოს ძალიან მსგავსი ერთმანეთის, რომ მოხდეს მათი აღრევა. იქიდან გამომდინარე, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის წამყვანი სიტყვა არის „KENT“, ხოლო „AQUA“ მეორე ხარისხოვან სიტყვას წარმოადგენს იგი ვერ აერევა მომხმარებელს დაპირისპირებულ ნიშანთან

„PARLIAMENT Aqua Blue”, სადაც ძირითადი და დომინანტი სიტყვა არის „PARLIAMENT”.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „KENT AQUA” (საიდ. №72223/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა ო ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ფილიპ მორის ბრენდს სარლ“-ის (Philip Morris Brands Sarl) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 31 იანვრის №133/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

წევრები:

ი. გიქორაშვილი

მ. ბაკურაძე

გ. დუდუჩავა

